შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2023 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2022 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N021/22 (საქმე Nსსდ-03-23).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გიგა კუტიბაშვილი

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.03.22

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 021/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის /სიითი №6327/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ალექსანდრე კობაიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 10 მარტს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გიგა კუტიბაშვილმა და მოითხოვა ადვოკატ ალექსანდრე კობაიძისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორი დაესწრო 2022 წლის 21 ივნისის საპროცესო კოლეგიისა და 2022 წლის 7 ნოემბრის განხილვის კოლეგიის დისტანციურად გამართულ სხდომებს, სადაც მომჩივანმა მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.2 გიგა კუტიბაშვილის განმარტებით, ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს საადვოკატო მომსახურების მისაღებად მიმართა 2020 წელს. მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმებით, ადვოკატს ევალებოდა გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილს მიღებული განაჩენის (საქმე N149აპ-20) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატის ჰონორარი იქნებოდა 2000 აშშ დოლარი, რაც კლიენტის ძმამ - დავით კუტიბაშვილმა სრულად გადაუხადა ალექსანდრე კობაიძეს. ადვოკატისათვის ჰონორარის გადაცემის შემდეგ, გიგა კუტიბაშვილმა ალექსანდრე კობაიძისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ საჩივარი ფოსტით გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა კლიენტი არ იცნობდა საჩივრის შინაარსს. საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდაპირველად, ადვოკატმა მარტივად მოიპოვა მისი ნდობა, რის გამოც 2021 წლის 17 მარტს, მისმა ძმამ - დავით კუტიბაშვილმა ადვოკატთან გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს გიგა კუტიბაშვილის ინტერესები უნდა დაეცვა სხვა საქმეზეც, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას. გიგა კუტიბაშვილის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საჩივრის მდგომარეობაზე ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას და გამუდმებით განუმარტავდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან შეტყობინება არ მიუღია და სიახლეს აუცილებლად აცნობებდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოიკვეთა ახალი გარემოებები, რის გამოც გადაწყვიტა საქმის წარმოების განახლება და დასახმარებლად მიმართა სხვა ადვოკატს, რომელმაც მოსთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებული საქმის მასალები და საჩივარი. საჩივრისა და საქმის მასალების ასლების მიღების მიზნით, გიგა კუტიბაშვილმა მიმართა ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს, რომელმაც განუმარტა, რომ ვალდებული არ იყო საჩივრის შინაარსი კლიენტისათვის შეეთანხმებინა და მიაწოდა მხოლოდ საქართველოს ფოსტის გზავნილის კოდი, რომლის საშუალებითაც გაირკვა, რომ ადვოკატმა ნამდვილად გააგზავნა დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა არ დგინდებოდა რა შინაარსის დოკუმენტი იყო გაგზავნილი და ვისი სახელით. 2022 წლის 7 ნოემბრის განხილვის კოლეგიის დისტანციურ სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა, რომ წერილობით მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ საქართველოს მოქალაქე გიგა კუტიბაშვილის სახელით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს კანცელარიაში აპლიკაცია არ დარეგისტრირებულა. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, გიგა კუტიბაშვილმა წარმოადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან, 2022 წლის 28 ივნისს მიღებული ინგლისურენოვანი წერილი.

1.4 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, არ შეადგინა საჩივარი და არ გააგზავნა ის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; ადვოკატმა უარი განუცხადა მას შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალის წარდგენასა და საქმის მსვლელობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე, რის გამოც ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებასა და გადახდილი ჰონორარის დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ 2022 წლის 24 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარში აღწერილი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე დაესწრო 2022 წლის 27 ივნისის საპროცესო კოლეგიისა და 2022 წლის 7 ნოემბრის განხილვის კოლეგიის დისტანციურად გამართულ სხდომებს, სადაც დაადასტურა წერილობით ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილი პოზიცია.

2.2 ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ დაადასტურა, რომ მან ნამდვილად გაუწია საადვოკატო მომსახურება გიგა კუტიბაშვილს, მისი ბიუროს ადვოკატთან - მირანდა შალამბერიძესთან ერთად, ორ სხვადასხვა საქმეზე; რამდენჯერმე შეხვდა კლიენტს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში; შეისწავლა საქმის მასალები; სისხლის სამართლის საქმეზე მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს"; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად შეადგინა საჩივარი და აღნიშნული დოკუმენტი საქმის მასალებთან ერთად გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რაც დასტურდება საქართველოს ფოსტიდან მიღებული გზავნილის კოდით - RR000786247, რის შემდეგაც, 2021 წელს, წერილით (გზავნილის კოდი RR01125625) მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმის მდგომარეობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, თუმცა სასამართლოდან პასუხი დღემდე არ მიუღია. 2022 წლის 27 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ დააზუსტა, რომ მას ევალებოდა გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ საჩივრის მომზადება და საჩივრის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნა, თუმცა კლიენტის თხოვნის შემთხვევაში, ის მზად იყო გიგა კუტიბაშვილისათვის წარმომადგენლობა გაეწია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, დავით კუტიბაშვილსა და გიგა კუტიბაშვილს გამუდმებით აწვდიდა ინფორმაციას საქმის მდგომარეობაზე და სიმართლეს არ შეესაბამება, თითქოს მან კლიენტს აცნობა, რომ ვალდებული არ იყო მისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია საჩივრის შინაარსის; დოკუმენტის გაგზავნისა და გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების შესახებ. ადვოკატის განცხადებით, მან არაერთხელ, ზეპირი და წერილობითი ფორმით აცნობა გიგა კუტიბაშვილს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცა დავით კუტიბაშვილს, ხოლო რაც შეეხება საქმის მასალებს, ისინი თან დაურთო გაგზავნილ საჩივარს და ამ მიზეზით საქმის მასალების ასლები მის არქივში არ ინახება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, გიგა კუტიბაშვილს საადვოკატო მომსახურება არაერთ საქმეზე გაუწია, მათ შორის საოჯახო დავაზე და კლიენტს უკმაყოფილება არასოდეს გამოუთქვამს, თუმცა მოგვიანებით, მისთვის უცნობი მიზეზების გამო, გიგა კუტიბაშვილმა უარი განაცხადა მის საადვოკატო მომსახურებაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 20 ივნისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე კეთილსინდისიერების, კვალიფიციურობის, ინფორმირებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებების შესაძლო დარღვევის ნაწილში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი,

მუხლები: 5(ა), 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლები: 8.6, და 8.15).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს კლიენტის - გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უნდა გაესაჩივრებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე N149აპ-20).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.1.2 მხარეთა შეთანხმებით, გადაწყვეტილების 4.1.1 პუნქტში მითითებული საქმისწარმოებისათვის ჰონორარს წარმოადგენდა 2000 აშშ. დოლარი, რაც გიგა კუტიბაშვილმა სრულად გადაუხადა ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- 2020 წლის 22 სექტემბრის გადახდის ქვითრები.

4.1.3 2021 წელს, მხარეები წერილობით შეთანხმდნენ, რომ გადაწყვეტილების 4.1.1. პუნქტში მითითებული საქმის გარდა, ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს გიგა კუტიბაშვილისათვის საადვოკატო მომსახურება სხვა საქმეზეც უნდა გაეწია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ N1349 ხელშეკრულება.

4.1.4 ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ 2020 წლის 11 ოქტომბერს გააგზავნა დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (გზავნილის კოდი - RR0011786247). დოკუმენტის შინაარსი უცნობია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს ფოსტის 2022 წლის 26 აგვისტოს წერილი.

4.1.5 უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენი მიღებულია 2020 წლის 10 აპრილს (საქმე N149აპ-20). მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ადამიანის უფლებათა ევროპულ

სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა იყო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან ექვსი თვე. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წერილი (გზავნილის კოდი - RR0011786247) გაგზავნილია გასაჩივრების ვადის დარღვევით - 2020 წლის 11 ოქტომბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე N149აპ-20);
- საქართველოს ფოსტის 2022 წლის 26 აგვისტოს წერილი.

4.1.6 ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის დავალებით, მირანდა შალამბერიძის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2021 წლის 10 აგვისტოს გაგზავნილია წერილი (საფოსტო კოდი - RR001125625GE). წერილის შინაარსი უცნობია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საქართველოს ფოსტის 2021 წლის 10 აგვისტოს რეესტრი.

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ კლიენტს არ შეუთანხმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩივრის შინაარსი; კლიენტს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საქმის მიმდინარეობაზე, რომ მან 1. ნამდვილად გააგზავნა საჩივარი გიგა კუტიბაშვილის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და 2. უზენაესი სასამართლოს განაჩენის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებისას დაიცვა შესაბამისი ვადა.

ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ და გიგა კუტიბაშვილმა ურთიერთსაპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი საჩივრის შედგენის; საჩივრის კლიენტისათვის გაცნობის; აღნიშნული დოკუმენტის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნის; გასაჩივრების ვადების დაცვისა და საქმის მიმდინარეობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ. საჩივრის ავტორის პრეტენზია ორ ნაწილად იყოფა: 1. გიგა კუტიბაშვილის პოზიციით, მისთვის უცნობი იყო საჩივრის შინაარსი და 2. ის არ ფლობდა სწორ ინფორმაციას ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიერ განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nას-1294-1214-2015). შესაბამისად, კლიენტისათვის საქმეზე სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს. მას შემდეგ, რაც გიგა კუტიბაშვილმა მიუთითა ადვოკატის მიერ ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევის ფაქტზე, ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს გაუჩნდა ვალდებულება

წარმოედგინა რელევანტური მტკიცებულებები, რომ მას შესრულებული ჰქონდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ რომ მან ნამდვილად შეადგინა საჩივარი, რომლის შინაარსი კლიენტისათვის ცნობილი და მისაღები იყო და ნამდვილად გააგზავნა აღნიშნული საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შესაბამისი ვადების დაცვით, რაზეც სწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად მომზადებული საჩივრის ასლი და საჩივრის შინაარსის კლიენტისათვის გაცნობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. განხილვის კოლეგიის მიერ საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2020 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის დავალებით, მირანდა შალამბერიძის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2021 წლის 10 აგვისტოს გაიგზავნა წერილები, თუმცა უცნობია წერილების შინაარსი, კერძოდ ნამდვილად გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე გაიგზავნა თუ არა საჩივარი და რა შინაარსის იყო მირანდა შალამბერიძის მიერ გაგზავნილი წერილი. ამასთან საყურადღებოა, რომ გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი მიღებულია 2020 წლის 10 აპრილს (სისხლის სამართლის საქმე N149აპ-20), რომლის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების ვადა წარმოადგენდა 6 თვეს. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიერ გაგზავნილი წერილი დათარიღებულია 2020 წლის 11 ოქტომბრით, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევას. დასახელებულ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, რომ ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ გიგა კუტიბაშვილის ინტერესების დაცვის მიზნით საჩივარი მოამზადა და გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და იმ შემთხვევაშიც, კი თუ ადვოკატის მიერ გაგზავნილი დოკუმენტი წარმოადგენს საჩივარს, დარღვეულია გასაჩივრების 6 თვიანი ვადა, რაზეც ინფორმირებული არ ყოფილა გიგა კუტიბაშვილი. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს არც ამ შემთხვევაში წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ მან ნამდვილად გიგა კუტიბაშვილის საქმეზე შედგენილი საჩივარი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საჩივრის შინაარსი გააცნო კლიენტს და საჩივრის გაგზავნის თაობაზე სწორი და ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ არ გააცნო კლიენტს საჩივრის შინაარსი; საქმის შესწავლისას არ დადასტურდა, რომ გიგა კუტიბაშვილის საქმეზე ადვოკატმა საჩივარი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და დაიცვა გასაჩივრების ვადები, რაზეც სწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
- 2021 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ფოსტის რეესტრი;
- 2022 წლის 30 ივნისის წერილი საქართველოს ფოსტიდან;
- 2022 წლის 26 აგვისტოს წერილი საქართველოს ფოსტიდან.

4.2.2 ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ კლიენტს შეთანხმებული მომსახურება სრულად არ გაუწია.

მხარეთა ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ გიგა კუტიბაშვილი და ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე, 2020 წელს ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უნდა გაესაჩივრებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე N149აპ-20). მხარეთა შეთანხმებით საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 2000 აშშ დოლარი, რაც კლიენტმა სრულად გადაუხადა ადვოკატს. ჰონორარის სრულად გადახდის ფაქტი დგინდება 2020 წლის 22 სექტემბრის გადახდის ქვითრებით. ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურება შეწყდა გიგა კუტიბაშვილის ინიციატივით, იმ მიზეზით, რომ ადვოკატმა არ შეასრულა ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ გასაჩივრების 6 თვიანი ვადის დარღვევით გააგზავნა წერილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა კომისიისათვის უცნობია რა დოკუმენტი გააგზავნა ადვოკატმა. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს არ წარმოუდგენია ადრესატისათვის საჩივრის გაგზავნისა და ადრესატის მიერ საჩივრის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ სრულად შეასრულა ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება;
- 2020 წლის 22 სექტემბრის თანხის გადახდის ქვითრები;
- 2021 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ფოსტის რეესტრი;
- 2022 წლის 30 ივნისის წერილი საქართველოს ფოსტიდან;
- 2022 წლის 26 აგვისტოს წერილი საქართველოს ფოსტიდან.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა განმარტებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა); 6.2 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5; 8.6; 8.15 მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულებები, ვინაიდან ადვოკატმა შესაბამისი ვადის დაცვით არ გააგზავნა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; კლიენტს არ გააცნო საჩივრის შინაარსი და არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობაზე.

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.5).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (მუხლი 6.2)

ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.2 „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშობა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალებით, საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, რათა კლიენტმა მიიღოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის" 27.02.2020 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N005/20).

6.3 „ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად" (ეთიკის კომისიის 22.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N051/19).

6.4 „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით" (ეთიკის კომისიის 18.02.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N151/18).

6.5 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ეთიკის კომისია შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლებზე და მიიჩნია, რომ მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები:

- ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში;
- ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში;

- ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის;

- ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.

6.6 „ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად“ (ეთიკის კომისიის 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10, 5.12, 5.13).

6.7 მიუხედავად ზოგადი დანაწესისა, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი ადვოკატზე გადმოდის (ეთიკის კომისიის 2019 წლის 15 ივლისის 141/18 გადაწყვეტილება, პარ 6.2).

6.8 მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის - გიგა კუტიბაშვილის ინტერესები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართოში უნდა გაესაჩივრებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე N149ა3-20), რომლის მიხედვითაც გიგა კუტიბაშვილს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6.9 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ 2020 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ფოსტის მეშვეობით გზავნილი NRR000786247GE გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, თუმცა არ დგინდება გზავნილის შინაარსი, კერძოდ აღნიშნული გზავნილი ეხებოდა თუ არა გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეს. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საფოსტო გზავნილის გაგზავნის თარიღზე - 11.10.2020 წელი. გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენი მიღებულია 2020 წლის 10 აპრილს. დასახელებულ პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა დასაშვები იყო დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვიდან 06 (ექვსი) თვის განმავლობაში - მოცემულ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 6 თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით დადასტურდებოდა, რომ 2020 წლის 11 ოქტომბერს ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ ნამდვილად გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე შედგენილი საჩივარი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ადვოკატის მიერ დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატი მხოლოდ 2021

წლის აგვისტოს თვეში დაინტერესდა მის მიერ 2020 წლის 10 ოქტომბერს გაგზავნილი წერილის სტატუსით და მანამდე აღნიშნულ დოკუმენტზე ინფორმაციის მიღება არ უცდია, რაც ასევე არ წარმოადგენს კლიენტის საქმის გულისხმიერად წარმოებას. ადვოკატი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაეცვა მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესები; კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოეყენებინა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება და თვალი ედევნებინა საქმის მიმდინარეობაზე.

6.10 გიგა კუტიბაშვილმა და ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს კლიენტის ინფორმირების თაობაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ გააცნო საჩივრის შინაარსი და არწმუნებდა, რომ საჩივარი ვადის დაცვით გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რაც უარყო ადვოკატმა და მიუთითა, რომ საჩივრის შინაარსი შეუთანხმა კლიენტს და კლიენტის ინფორმირებით განახორციელა ყველა საპროცესო მოქმედება. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მიღებული ინგლისურენოვანი წერილი, რომლის მიხედვითაც არ დადასტურდა გიგა კუტიბაშვილის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა. გადაწყვეტილების მიღებისას განხილვის კოლეგიამ არ გაითვალისწინა ინგლისურენოვანი დოკუმენტი, ვინაიდან საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია სამართალწარმოების ენაზე შესრულებული თარგმანი. თავის მხრივ, ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი დოკუმენტი, რაც გააქარწყლებდა საჩივრის ავტორის პრეტენზიებს შეთანხმებული დოკუმენტის მომზადებასა და ადრესატთან გაგზავნის თაობაზე. განხილვის კოლეგიის შეფასებით, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას და არა მომჩივანს, რომელიც უარყოფს ადვოკატის მხრიდან ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატმა უნდა წარუდგინოს კომისიას დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულება, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე და სწორ ინფორმაციას აწვდიდა გიგა კუტიბაშვილს. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის კლიენტს დროულად და სწორად აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატის განმარტების გარდა საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რაც კომისიას მისცემდა შესაძლებლობას დაედგინა ადვოკატის მხრიდან კლიენტის სწორად ინფორმირება საქმის მიმდინარეობის თაობაზე. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ადვოკატმა არ მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში სრულფასოვნად გასარკვევად.

6.11 საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატმა ჯეროვნად არ შეასრულა კლიენტთან ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, არ დადგინდა, რომ ადვოკატმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ნამდვილად გააგზავნა საჩივარი გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე; ადვოკატმა დაიცვა საპროცესო ვადები და კლიენტს მიაწოდა სწორი და ზუსტი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობაზე. შესაბამისად, განხილვის კოლეგია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს,

რომ ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მხრიდან დარღვეულია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობისა და ინფორმირების ეთიკური სტანდარტები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) და 6.2 მუხლები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 და 8.6 მუხლები.

6.12 ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ დაარღვია კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

6.13 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 057/17, პარ. 5.10).

6.14 „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ

შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევა (ეთიკის კომისიის 22.02.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №057/17, 5.10).

6.15 „ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა, თუმცა, როდესაც კომისია აფასებს ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევას, გადახდილი ჰონორარის სამართლიანად გამომუშავების ფაქტის დასადგენად, ადვოკატის სამტკიცებელია კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან უკვე გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურების ოდენობის შესაბამისობა და სავარაუდოობა“ (ეთიკის კომისიის 22.02.2018 წლის დისციპლინური საქმე N057/17, 5.12).

6.16 ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით, ადვოკატ ალექსანდრე კობაიძეს გიგა კუტიბაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი (საქმე N149 აპ-20) უნდა გაესაჩივრებინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენდა 2000 აშშ დოლარი. 2020 წლის 22 სექტემბრის თანხის გადახდის ქვითრებით დგინდება, რომ კლიენტმა ადვოკატს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიერ გიგა კუტიბაშვილის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაგზავნა, გამომდინარე აქედან ადვოკატს სრულად არ აქვს შესრულებული კლიენტთან ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნების წინაპირობას. შესაბამისად, განხილვის კოლეგია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატმა დაარღვია ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტისთვის, ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი, ფულადი სახსრების პროპორციული ოდენობის დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.17 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.19 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, თუმცა საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამასთანავე, ადვოკატს ჰქონდა დისციპლინური წარმოების პროცესში ქცევის ცვლილების: კლიენტისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებისა და კლიენტთან ფინანსური საკითხების გარკვევის შესაძლებლობა, რაც ადვოკატმა არ შეასრულა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევების შინაარსიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის პრაქტიკის გათვალისწინებით ადვოკატის მიმართ პროპორციული პასუხისმგებლობის ღონისძიება იქნება - გაფრთხილება.

6.20 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35– ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №021/22 დადგინდეს ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის /სიითი №6327/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

2. ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის მიმართ /სიითი №6327/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/